ზვიად გამსახურდია, მებრძოლი სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის, მომავლის მოღვაწე

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვა, წარმოთქმული ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ცენტრის გახსნაზე:

„დღევანდელ ეპოქაში, როდესაც სრულმასშტაბიანი თუ პროქსი ომების გრგვინვა მოედო აღმოსავლეთ ევროპის ერთ ნაწილს და აზიურ შუა აღმოსავლეთს, უპრიანია დავსვათ კითხვა: თუკი სოციალისტურ ბანაკს და ყოფილ საბჭოეთს სათვალავში არ მივიღებთ, საიდან მოვიდნენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც მანამდე, მშვიდობიან პერიოდში იყვნენ ხელისუფლებაში, და როგორც ცივი ომის დროს, ისე ახლანდელ ომებში საკვანძო როლი ჰქონდათ ან ახლაც აქვთ? მათ თავიანთი კარიერა, ძირითადად, ხანგრძლივი პოლიტიკური ტრადიციის მქონე ქვეყნებში აიწყვეს, სადაც არსებობდა და დღესაც არსებობს ჩამოყალიბებული მუნიციპალური, ნაციონალურ-საპარლამენტო და ფედერალური დონეები; სადაც არსებობს ნამდვილი სახალხო პარტიების ტრადიცია; სადაც არჩევნები ტარდება და საარჩევნო კამპანიებიც ასე თუ ისე ხალხის ნების გამომხატველია. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მოღვაწეობაზე დაკვირვებისას ვხედავთ, რომ ეს ასე არ ყოფილა. საბჭოთა კავშირი იყო ქვეყანა, სადაც პოლიტიკა, როგორც ასეთი, ერთპარტიულობის ტყვე იყო, სადაც იმ ერთი გაბატონებული პარტიის ლიდერს პოლიტიკოსი ვერ დაერქმეოდა - ალბათ უფრო სახელმწიფო მოღვაწე და ერთადერთი მმართველი ძალის მსხვილი ან წვრილფეხა ბელადი.

ისტორიული კონტექსტი, რომელმაც ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ზვიად გამსახურდია მღელვარე ხდომილებებში ჩართო, უკავშირდება ეპოქათა მიჯნას - 1953 წლის 5 მარტს მოკვდა იოსებ სტალინი, დიდი ომის მომგები, მსოფლიო გადანაწილების ერთ-ერთი უმსხვილესი აქტორი და მრისხანე საბჭოთა ბელადი, მისი გარდაცვალებიდან სულ რაღაც 3 თვეში კი მას უკან მიაყოლეს ლავრენტი ბერია, ეს მოიმოქმედა იმ ოთხეულმა, შემდგარმა ხრუშჩოვისგან, მალენკოვისგან, ბულგანინისგან და ჟუკოვისგან, ვინც ხელთ იგდო მთელი ძალაუფლება 1953 წლის ივნისის შემდეგ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალმა წინამძღოლმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა, გააკრიტიკა რა ბელადი და დაგმო „პიროვნების კულტი“, სხვათა შორის, თქვა: სტალინის სამშობლოში, საქართველოში ბურჟუაზიული ნაციონალიზმი იმ დონეზე ვლინდებოდა, რომ საფრთხე იყო ამ რესპუბლიკის გასვლისა სსრკ-ს შემადგენლობიდან და თურქეთის შემადგენლობაში შესვლისო. თუმცა თურქეთი სად მოვა საქართველოს სსრ-ს განვითარებასთანო, რასაც ხრუშჩოვი არაერთი მონაცემის მოტანით ამყარებს, როგორც ეკონომიკის, ისე სოფლის მეურნეობის და სახალხო განათლების ზოგადი სტატისტიკის მოშველიებით. იქვე ირონიულად და იქედნურად დასძენს, ეს ყოველივე ქართველი ხალხის „გენიალური და დიადი შვილის“, სტალინის მეთაურობით ხდებოდაო, როგორც საქართველოში ამის თქმა დღესაც უყვართო. ნიკიტა ხრუშჩოვის ასეთ

განცხადებებს მოჰყვა დესტალინიზაცია, პიროვნების კულტის დაგმობა და სტალინის ძეგლების დემონტაჟი, უპირველეს ყოვლისა თბილისის ცენტრში, რამაც ხალხის პროტესტი და მობილიზაცია გამოიწვია. საქმე მარტო სტალინში არ იყო, კრემლის ახალი მესვეურები წარამარა შეურაცხყოფას აყენებდნენ ქართველ ხალხს. ზვიად გამსახურდია და მისი მეგობრები ამ პროტესტებში მონაწილეობდნენ, პროტესტები 1956 წლის 9 მარტს სისხლში ჩაახშეს - დემონსტრანტებს სამხედროებმა პირდაპირ გაუხსნეს ცეცხლი ავტომატური იარაღებიდან. ზვიადი წერდა ამ დღეზე, რომ მან იმ საღამოს შეცვლილი და საბრძოლველად შემართული საქართველო იხილა.

ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაცია „გორგასლიანის“ ბიჭები, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გურამ დოჩანაშვილი, ჯონდო მეტრეველი, ვოვა სიხარულიძე და სხვანი განათლებული და ეროვნულ-პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდები იყვნენ, ისინი მეგობრობდნენ წიგნთან და ხელოვნებასთან. მათ შეადგინეს და თბილისის უბნებში მტკვრის ორივე სანაპიროზე გააკრეს პროკლამაცია, რომელშიც სოლიდარობა გამოუცხადეს გმირ უნგრელ ხალხს 1956 წლის მოვლენების გამო და მოითხოვეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ზვიად გამსახურდია იზრდებოდა ისეთ გარემოში, სადაც მას კონსტანტინე გამსახურდიას რომანები და მისი შემოქმედებისეული ტექსტები მოიცავდა. ახალგაზრდა ზვიადს მწერალმა თავისი ნაწერების კორექტირება მიანდო 15-16 წლის ასაკში. მოზარდზე, ცხადია, მოქმედებდა ის დაძაბული და მძიმე ატმოსფერო, რაც მამის მოღვაწეობასთან დაკავშირებით იყო შექმნილი. მწერალს ხშირად ესხმოდა თავს კრიტიკა მთავრობის დავალებით, მისი ნაწერების ბეჭდვა იკრძალებოდა, გარკვეულ პერიოდებში მწერლის დაპატიმრების საფრთხე სავსებით რეალური ხდებოდა. ასე მაგალითად, 1946 წელს საბჭოთა კავშირს ჟდანოვშჩინას ტალღამ გადაურა, უზარმაზარი ქვეყნის მასშტაბით დაიგმო არაერთი პოეტი, მწერალი და ხელოვანი. კონსტანტინე გამსახურდიაზე მკვეთრად კრიტიკული წერილები დაწერეს ბესო ჟღენტმა და გიორგი ჯიბლაძემ, სადაც მისი შემოქმედება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, სოციალისტური აღმშენებლობისადმი დამაზიანებლად და მიუღებლად გამოაცხადეს. შეჩერებული იქნა მისი ნაწარმოებების ბეჭდვა, თავად მწერალი გამოიყვანეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმიდან. იყო დრო, როდესაც ყოველდღე ველოდებოდი მამაჩემის დაპატიმრებასო, იხსენებდა ზვიად გამსახურდია. ყველაზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა „მეგრელთა საქმის“ აღძვრის დროს, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელის პოსტს ჩამოაცილეს კანდიდ ჩარკვიანი და დანიშნეს აკაკი მგელაძე. ყველაზე დიდი ზეწოლა კონსტანტინე გამსახურდიაზე დროის ამ მონაკვეთში შეინიშნება. თუმცა ამას მოჰყვა შედარებით მშვიდობიანი პერიოდები, როდესაც დასრულდა კოლხური კოშკის მშენებლობა, ხოლო თავად მწერალი იმითაც დააფასეს, რომ 1958 წელს დაიწყეს მისი რვატომეულის გამოცემა, რომელიც 1968 წელს დასრულდა. აი, რას წერდა ზვიად გამსახურდია იმ დროზე, როდესაც იგი მოქალაქედ და პატრიოტად ყალიბდებოდა: „ამ სახლში მუდამ საქართველოზე იყო ლაპარაკი. იკრიბებოდნენ მწერლები, მეცნიერები, მოღვაწეები, გარეთ რომ ვერაფერს ამბობდნენ, აქ ბჭობდნენ, ჭირისუფლობდნენ, გულს იოხებდნენ... მეც აქ

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა აკადემია გავიარე და მისი ღალატი არასოდეს მიფიქრია."

საბჭოთა კავშირში უფლებადამცველურ-დისიდენტური მოძრაობის ახალი ტალღა იწყება პრაღის გაზაფხულიდან, როდესაც 1968 წლის აგვისტოში საბჭოთა ჯარებმა უსასტიკესად ჩაახშეს ჩეხოსლოვაკიის ხალხის და მმართველი გუნდის მცდელობა, თავად განესაზღვრათ თავიანთი ბედი. მალე მოსკოვში რვა მამაცმა ადამიანმა პირდაპირ წითელ მოედანზე სცადა საბჭოთა კავშირის ამ ქმედების გაპროტესტება და პლაკატები გაშალა. ისინი რამდენიმე წუთში სასტიკად იქნენ დარბეულნი, შემდგომ გასამართლებულნი და გადანაწილებულნი ან ლაგერში, ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. ამ დროიდან მოყოლებული ზვიად გამსახურდიამ კონტაქტები დაამყარა მოსკოვსა და ლენინგრადში იმ ადამიანებთან, რომლებიც შემდგომში თავისი გაბედული პოზიციის გამო ან საპატიმროში აღმოჩნდნენ, ან ემიგრაციაში იქნენ გაძევებულნი. რამდენადაც საბჭოთა ცენზურის პირობებში შეუძლებელი იყო სრულფასოვანი ლიტერატურული და სამეცნიერო მოღვაწეობა, ასევე ობიექტური და მართალი თვალსაზრისების გავრცელება, ზვიად გამსახურდიამ გადაწყვიტა თავის თავზე აეღო თვითგამოცემული ჟურნალის რედაქტორობა.

თვითგამოცემა „ოქროს საწმისის“ პირველი ნომერი 1974 წლის მიწურულს გამოვიდა. მისი გამომცემლები იყვნენ საქართველოში „ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფის“ დამფუძნებლები, ეროვნული და სამართალდამცველური მოძრაობის დამწყებები, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ამ ჯგუფის შექმნას მიესალმნენ რუსი უფლებადამცველები, აკადემიკოსი სახაროვი, ასევე ტვერდოხლებოვი და ჭალიძე. 1976 წელს შეიქმნა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი, ჰელსინკში ერთი წლით ადრე გამართული შეხვედრის და იქ დადებული ისტორიული ხელშეკრულების კვალდაკვალ, რომელსაც სხვა ქვეყნებთან ერთად ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირმაც. ხელშეკრულება ძირითადად ეხებოდა დადგენილი საზღვრების ურღვევობას და ადამიანის უფლებათა დაცვას.

თუკი დავუშვებთ, რომ თვითგამოცემა, თავისი არსით არასაბჭოურ, ან საბჭოთა სინამდვილისადმი კრიტიკულ და არამეგობრულ პუბლიკაციებს გამოაქვეყნებდა, სსრკ-ში კანონით მკაცრად იქნებოდა აკრძალული და მას განიხილავდნენ, როგორც მტრულ ქმედებას სახელმწიფოს წინააღმდეგ, ასევე — როგორც საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე ძალების „წისქვილზე წყლის დასხმას“, ანუ მათ იდეოლოგიურ მხარდაჭერას. ეს ნაბიჯი, მოდიოდა რა პირდაპირ კოლიზიაში საბჭოთა კანონმდებლობასთან, ითვალისწინებდა მძიმე სასჯელს — მრავალწლიან პატიმრობას, კოლონიისა და გადასახლების ჩათვლით. როდესაც უშიშროების კომიტეტმა 1977 წლის აპრილში გამსახურდიასა და კოსტავას წინააღმდეგ აღძრა პოლიტიკური საქმე №131, ორივე თვითგამოცემა — „ოქროს საწმისიც“ და „საქართველოს მოამბეც“ — გამოიყენებოდა როგორც მთავარი სამხილი.

მანამდე, ვიდრე ჟურნალი გამოვიდოდა, ზვიად გამსახურდიამ აზრი ჰკითხა მამას — კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც იმ დროისთვის უკვე მძიმე ავადმყოფი იყო:

ღირდა თუ არა ამხელა რისკზე წასვლა, როცა ცხადი იყო, რომ ორივე გამოცემა უშიშროების კომიტეტის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცეოდა. მოხუცმა მწერალმა ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ გასცა. მისი თქმით, ერთის მხრივ, უკვე იდგა დრო, როდესაც შესაძლებელი ხდებოდა აკრძალული და საჭირბოროტო თემების საჯაროდ წამოწევა, თუმცა ქვეყნის პოლიტიკური ვითარება უკიდურესად არაპროგნოზირებადი იყო. არავინ იცოდა, როდის „მოიქნევდა კუდს“ სისტემა — მით უფრო, რომ იგი 1970-იანი წლების შუახანებში ჯერ კიდევ ძალზე მძლავრი და ინსტიტუციურად სტაბილური ჩანდა.

ჟურნალის სათაური — „ოქროს ვერძის ტყავი ანუ საწმისი“ — შერჩეულ იქნა ანტიკური მითოსის თავისებური ინტერპრეტაციიდან. რედაქტორთა განმარტებით, „ოქროს საწმისის“ ღრმა საზრისი არ გულისხმობდა მხოლოდ მატერიალურ სიმდიდრესა და საგანძურს, რომლის ხელში ჩასაგდებად არგონავტები მოგვიანო ეპოქების მეკობრეთა მსგავსად კოლხეთში მტაცებლურ-მერკანტილური მოტივებით მოემართებოდნენ. პირიქით, იგი განიმარტებოდა როგორც სიმბოლო უძველესი ცოდნისა, სულიერი კულტურისა და ხელოვნებისა, რითაც კოლხეთი ბრწყინავდა ანტიკურ სამყაროში. ამავე დროს, ჟურნალის სახელის სემანტიკა უკავშირდებოდა ძველი ქართული ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის ტერმინს — „საწვიმისი“, ანუ ის, „რაც წვიმას მოიყვანს“, გვალვისგან გადამხმარი ლანდშაფტის გამომაცოცხლებელი წყარო. ამ მეტაფორით „ოქროს საწმისი“ წარმოდგენილი იყო როგორც სულიერი გამოფხიზლების ინსტრუმენტი სახელმწიფოებრივი და კულტურული დეგრადაციის ეპოქაში. რედაქტორთა თქმით, „ოქროს საწმისი“ მარადჟამული სიმბოლოა კოლხური, ანუ ქართული კულტურისა; ცივილიზებული მსოფლიოს მკვიდრნი კოლხეთად უფრო იცნობენ საქართველოს, ვინაიდან ყველას ახსენდება არგონავტების მითი, მედეა და ოქროს საწმისი“.

რაც შეეხება თვითგამოცემის დაბეჭდვის ტექნიკურ დეტალებს: რა თქმა უნდა, ეს არალეგალური შეთანხმება იდებოდა რომელიმე სტამბის კონკრეტულ მუშაკთან, რომელიც მანქანაზე დაბეჭდილ ტექსტს თავიდან უღებდა ფოტოს, შემდეგ ამ ფოტოთი ამზადებდა შესაბამის ფოლგას და ამას ბეჭდავდნენ ე.წ. რომაიორის აპარატებით, რომლებიც, უმეტესად სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში იდგა ამავე დაწესებულებების მუშაკთა შრომების გამრავლების მიზნით. როგორც ჩანს, ეს მინი-სტამბები ნაკლებად კონტროლდებოდა უშიშროების კომიტეტის მიერ. რუსი უფლებადამცველები და დისიდენტები როგორც მოსკოვში, ისე ლენინგრადში, გაოცებულები იყვნენ ზვიად გამსახურდიას უნარით, არალეგალური საგამომცემლო კონსპირაციული მუშაობის მიმართულებით რომ გამოავლინა. არაერთი გამოცემა რუსულ ენაზე იგზავნებოდა თბილისში დასაბეჭდად, რაც თვითგამოცემის ფორმით დაბეჭდილი, გარკვეული ტირაჟით იგზავნებოდა ისევ მოსკოვში ან ლენინგრადში.

თვითგამოცემა „ოქროს საწმისი“ ქართულ ენაზე მხოლოდ საქართველოსთვის იყო განკუთვნილი. მასში იბეჭდებოდა ძირითადად ისეთი ლიტერატურა —

მოთხრობები, ლექსები, ესეები, ნარკვევები, წერილები — რომელიც უარყოფილი იყო საბჭოთა ლიტერატურული მეინსტრიმის მიერ ან პირდაპირ აკრძალული ცენზურის ჩარევის შედეგად. ეს გამოცემა იქცა არა მხოლოდ ალტერნატიულ ლიტერატურულ სივრცედ, არამედ ინტელექტუალურ პლატფორმად, სადაც ფორმირდებოდა განსხვავებული ისტორიული მეხსიერება, არაოფიციალური ეროვნული ნარატივი და თავისუფალი აზროვნებითი ეთოსი. ამ პუბლიკაციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ საბჭოთა ეპოქის ლიტერატურული პროცესების შესასწავლად, არამედ საქართველოს უახლესი ისტორიის რეალური სურათის აღსადგენადაც. „ოქროს საწმისი“ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი არქივი წინააღმდეგობისა — ტექსტების სივრცე, სადაც ლიტერატურა ფუნქციონირებდა არა ესთეტიკური თვითკმარობისთვის, არამედ როგორც კულტურული თვითგადარჩენის ფორმა და პოლიტიკურად ნატიფი, მაგრამ მკაფიო პროტესტი ტოტალიტარული სისტემის წინააღმდეგ. სწორედ ამ თვალსაზრისით, „ოქროს საწმისი“ წარმოადგენს არა უბრალოდ თვითგამოცემას, არამედ ინტელექტუალურ აქტს — სიმბოლურ ჟესტს, რომლის მეშვეობითაც ქართულმა კულტურამ სცადა საკუთარი ისტორიული სუბიექტობის დაბრუნება. რაც შეეხება თვითგამოცემა „საქართველოს მოამბეს“ - მასში თემატიზებულულია საბჭოთა საქართველოს საჭირბოროტო საკითხები - კულტურის ძეგლთა არასათანადო დაცვის, მათი დაზიანების, მაგალითად, დავითგარეჯის ნგრევისა საბჭოთა არმიის სამხედრო პოლიგონზე წარმართული წვრთნების გამო; საკითხებში ყურადღებას იქცევდა საქართველოს მართლმადიდებელ, სამოციქულო ეკლესიაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა პატრიარქების, ეფრემ მეორისა და დავით მეხუთეს დროს, როდესაც მთელს ქვეყანაში სულ რაღაც 50-ოდე მოქმედი ტაძარი იყო დარჩენილი და 60-ზე ცოტა მეტი მღვდელმსახური, როდესაც იძარცვებოდა საეკლესიო სიწმინდეები, ხოლო უშიშროების კომიტეტი ურცხვად აფათურებდა ხელს ეკლესიის საქმეებში. ზვიად გამსახურდიამ ცალსახად დაუჭირა მხარი საპატრიარქო ტახტზე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტს, ილია შიოლაშვილს, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს. „მოამბეში“ თემატიზებული იყო ასევე პატიმრების წამების ამბები საქართველოს ციხეებში, როდესაც კორუფციის ბრალდებით დაპატიმრებულებისგან სასურველი ჩვენებების გამოძალვას საგამოძიებო ორგანოები სპეციალურად მომზადებული ჯალათების ჩართვით ახდენდნენ. ისინი საკნებში სცემდნენ და აწამებდნენ პატიმრებს.

შესაძლოა, ცალკეულებმა კარგად, ხოლო უფრო მეტმა ნაკლულად იცოდნენ, რომ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მსოფლიოში ცნობილი უფლებადამცველი და დისიდენტი ზვიად გამსახურდია არაერთი საქმის ინიციატორი და ყამირის პირველგამკვალავია: იყო ადამიანის უფლებათა პირველი საინიციატივო ჯგუფის და ჰელსინკის პირველი ჯგუფის დამაარსებელი კავკასიაში; საერთაშორისო ამნისტიის კომიტეტის თანადამაარსებელი საბჭოთა კავშირში; აკრძალული ლიტერატურული თვითგამოცემის ორგანიზატორი თბილისში, რომელიც წლების

მანძილზე საქართველოდან ამარაგებდა საბჭოთა უფლებადამცველებს მოსკოვსა და ლენინგრადში. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტმა ქართველი უფლებადაცველების წინააღმდეგ აღძრა საქმე N131, 1978 წლის გაზაფხულზე სასამართლო პროცესი ჩატარდა. მის მიერ გამოტანილი განაჩენით მერაბ კოსტავა გაგზავნილი იქნა პერმის ლაგერში; ეს სასჯელი მან მოიხადა 1981 წელს. აქედან იგი გადააგზავნეს ციმბირში, ტაიშეტის რაიონში, ხოლო ზვიად გამსახურდია ასევე გადასახლების ადგილზე გადაიყვანეს, დაღესტნის ნახევარუდაბნოში, დაბა კოჩუბეიში. ის, რომ მან სასჯელი ბოლომდე არ მოიხადა, უკავშირდება მის ტაქტიკურ უკანდახევას, რასაც ხელისუფლება და ზვიად გამსახურდიას ოპონენტები „მონანიების“ სახელს უწოდებდნენ. 1979 წლის მიწურულს ზვიად გამსახურდია თბილისში დაბრუნდა და იგი აღადგინეს შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. ამის შემდეგ იგი აქტიურად დადიოდა სიონის ტაძარში, სადაც სწირავდა ახალი პატრიარქი, ილია მეორე, სადაც იკრიბებოდნენ ის ინტელექტუალები და პატრიოტები, ვისაც არ ეშინოდა საკუთარი პოზიციის გამოხატვისა, თუნდაც ამას რეპრესიები მოჰყოლოდა. ზვიად გამსახურდიამ ამ წლებში რამდენიმე თვითგამოცემაც დაბეჭდა და გაავრცელა, რომლებიც მნიშვნელოვან ეროვნულ და სახელმწიფოებრივ თემატიკას ეძღვნებოდა.

როდესაც მერაბ კოსტავა დაბრუნდა პატიმრობიდან 1987 წლის თებერვალში, გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ დაწყებიდან სულ რაღაც ორ წელიწადში, მან გააკეთა განცხადება, რომ მასა და ზვიად გამსახურდიას შორის არსებობდა შეთანხმება იმ ე.წ. მონანიების შესახებ. ზვიად გამსახურდია ამით გადარჩებოდა მოსალოდნელ გაძევებას საბჭოთა კავშირიდან, მას ასცდებოდა ის ბედი, რაც არაერთმა საბჭოთა დისიდენტმა გაიზიარა. თუმცა ცხადი იყო, რომ ამგვარი ნაბიჯით ზვიადის რეპუტაციას გარკვეული ზიანიც მიადგებოდა. მავანნი იტყოდნენ, რომ იგი „დანებდა“, „გატეხეს“, „გადავიდა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე“, და ა.შ. მერაბ კოსტავამ, ვიდრე საჯარო განცხადებას გააკეთებდა და საზოგადოებას ზვიად გამსახურდიას „მონანიების“ შესახებ თავის პოზიციას გააცნობდა, 1978 წელს დაწერილ ლექსში „ძმას ქრისტესმიერს“ (ანუ ზვიადს), უკვე პოეტური ფორმით გადმოსცა თავისი სათქმელი ამ საკითხს რაც შეეხება:

„სხვებზე უმეტეს თუ გაისარჯე,
როს ჩამოგეჭრა ხმა ედემისა,
მოყვასისათვის რად განისაჯე
ღირსო უკვდავთა დიადემისა?
ალბათ გამოცდა ენება უფალს,
როს გიმზადებდა ხვედრს არასაცდენს,
რადგან განგებას რომელი უყვარს
მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს.
რას დაგაკლებდა ბედი ტიალი
ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესველს,

ჭორის ღვართქაფმა გადაგიარა,
და როს აღგივსეს ძმარით ფიალა,
არ აიცდინე სასუმელი ესე.“

ეს ლექსი 1978 წლის „მონანიების“ შემდეგაა დაწერილი. მოყვასისათვის რად განისაჯეო, კითხულობს ლექსში ავტორი. ცხადია, იგი აქ ნახსენებ დროს ვერც წარმოიდგენდა, კიდევ რამდენჯერ დააყენებდნენ მავანნი ეჭქვეშ მისი ამ პოზიციის ნამდვილობას და კიდევ რამდენჯერ განისჯებოდა ზვიადი. მერაბი აღნიშნული ლექსის ამ ამონარიდში ცხადად გულისხმობს რეპუტაციის ზემოხსენებულ დაზიანებას და მითქმა-მოთქმას, რომელიც ზვიადის მიერ გადადგმულ ტაქტიკურ ნაბიჯს უთუოდ მოჰყვებოდა საზოგადოებაში. იგი ამ პოეტურ პასაჟში სწორად აფასებს ზვიად გამსახურდიას პიროვნული დრამის ამ მნიშვნელოვან ნიუანსს. ამ ლექსზე ზვიად გამსახურდიამ ასევე პოეტური ფორმით გასცა პასუხი, 1985 წელს - მერაბი „ერის საფიცარ რაინდად“ მოიხსენია, რომელსაც ქრისტემ „ცის გასაღები მიჰმადლა და სერაფიმთა ჰაეროვნება“. დიდი საქმისთვის ბოლომდე მაინც ჩვენ ორნი დავრჩითო, როგორც მწუხარე სახის რაინდებიო, პოეტური ფორმით ნათქვამია ამ ლექსში.

სოფელს შუაგულ ციმბირში, რომელშიც მერაბ კოსტავა ჩაასახლეს, კვიტოკი ერქვა. აქ იგი სოფლის სკოლაში მუსიკას ასწავლიდა. 1980 წლის მიწურულს ზვიადმა მერაბის ვაჟთან, ირაკლისთან ერთად ინახულა იქ მერაბი, თავისუფალ გადასახლებაში. კვიტოკიდან მერაბს ქართულ ენაზე შეეძლო წერილის დაწერა, ციხიდან და კოლონიიდან კი მხოლოდ რუსულად. ზვიადმა მას ასეთი წერილი მისწერა 1981 წელს:

„ძმაო მერაბ! დიდად დამწყდა გული, რომ უარი გითხრეს შვებულებაზე, თუმც ბევრი ხანი აღარ დაგრჩენია მანდ ყოფნისა და ღვთის იმედით, ყოველივე კარგად წარიმართება. დედას ხშირად ვნახულობ, მე მგონი, გვარიანადაა. აბა შენ იცი, მერაბ, ძლიერ დაკვირვებით იყავი. საბას ნათქვამი გაიხსენე: „ფრთხილად იყვე, შინაც იყვეო“. განსაკუთრებით გთხოვ, როდესაც ბოლო თვეები მოაწევს, უკიდურესად ფრთხილად იყავი, სასმელი არ გაიკარო, ყველა წვრილმანი გაიაზრე, ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი, განსაკუთრებით გზაში. მე არა მიშავს, ვმუშაობ თარგმანებზე, ღვთისმეტყველებაზე, თემაზე: „ვეფხისტყაოსანი“ და შუასაუკუნეების კულტურა.“ „საღვთისმეტყველო კრებულში“ ბევრი რამ კარგი კეთდება, შენ რომ ჩამოხვალ, უთუოდ დიდი ასპარეზი გექნება მანდ მოღვაწეობისთვის. ჭეშმარიტად სულია მთავარი და მაცხოვრის სიტყვები: „ეძიეთ სასუფეველი ღვთისა და სხვა დანარჩენი მოგეცეთ თქვენ“. გიგზავნი ჩემს თარგმანს მათეს სახარებისას, საეკლესიო კალენდარს 1981 წლისას, აგრეთვე ძვირფას წიგნს მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილისას „საქართველოს მღვდელმთავარნი“, სადაც უამრავი განსაცვიფრებელი ფაქტებია ჩვენი დიდი მღვდელმთავრების ცხოვრებაზე, რომელთაც სხვაგან ვერსად შეხვდები (ჩქმალავენ,) გიგზავნი აგრეთვე გაზეთს უნივერსიტეტისას, სადაც დაიბეჭდა თენგიზის (იგულისხმება თენგიზ ბურჭულაძე, კ.გ.) წერილი დავით აღმაშენებელზე. მე და შენი საუბრები გაუხსენებია, თითო ოროლა წიგნიდან ციტატებით შეუვსია და ისე გამოუყვანია საქმე, თითქოს თვითონ

აღმოაჩინა ეს ამბავი. თუმც არაფერია, ნუ განვიკითხავთ. ფოსტით შენი არაფერი მომსვლია, ალბათ, გრძნობ, რომ უსარგებლოა გამოგზავნა და არ აგზავნო. მოგიკითხეს ჩემებმა. აბა შენ იცი, იყავი დაკვირვებით, თავს მოუარე. ყოველ დილა-საღამოს განსაკუთრებით ბოლო თვეებში იკითხე ხმამაღლა 90-ე ფსალმუნი. ხომ იცი, რა ჯავშანია! შენი ძმა ზვიადი.“

მერაბის პასუხიდან ჩანს, რომ იგი საბრძოლო განწყობაზეა: „გამარჯობა ძმაო ზვიად! შენც კარგად მოგეხსენება, გაურკვევლობაზე მეტად არაფერი მეჯავრება. ერთი სიტყვით, ასე იოლად არ ჩაუვლით ეგ ამბავი. კუთვნილის შერჩენა არ იქნების. ისიც კმარა, რაც გააკეთეს. საქართველო თუ მართლა რესპუბლიკაა, ქართველს ციმბირში რა უფლებით ასახლებენ. არ გეგონოს საკუთარ ხვედრზე ვწუწუნებდე, მაგრამ როდესმე სერიოზულად დასმა ამ საკითხისა ურიგო არ იქნება. მოკლედ, კიდევ ვცდი საცდელს. ვნახოთ რა გამოვა. სხვა რა მოგწერო - თოვლი დნება. თვენახევრიანი ტალახი, წყვილი ჩექმა და მისი ჯანი. ეს სიღატაკე ჩვენებურ დიდებულ გაზაფხულს რომ შევადარო, თავისთავად დაწუწუნება გამოვა და არ ღირს. წუწუნი რას გვიქვია ან რა ჩვენი საკადრისია წუწუნი. ამიტომ შენზე მუდამ იმედიანად ვფიქრობ. მჯერა, კარგად ხარ და მაგრად უნდა იყო. სიძნელეებთან გამკლავება თავად შენგან ვისწავლე და სხვისგან არ გესწავლება. ამიტომ მეტს არაფერს დავუმატებ. მარტოოდენ მაცხოვრის ჩვენის, იესო ქრისტეს აღდგომას გილოცავ წინასწარ, და შენს სახლეულთან მოკითხვას გაბარებ. მერაბი“. (წერილი ასევე 1981 წლითაა დათარიღებული)

ზვიადის შრომამ მერაბის დაცვისთვის არ ჩაიარა ამაოდ. როდესაც მერაბი შიმშილობდა, რამდენადაც ოჯახს მონახულების უფლება წაართვეს, ზვიადმა წერილი მისწერა ჟორჟ მარშეს, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, ამ საქმეში რომ ჩარეულიყო, ვინც თავის მხრივ დაუკავშირდა კრემლის ახალ ლიდერს, იური ანდროპოვს და თხოვა, მერაბ კოსტავას ოჯახისთვის პატიმრის მონახულების ნება დაერთოთ. ეს მოხდა 1983 წელს. ზვიადისავე დიდი მეცადინეობით 1984 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კომისიამ მერაბ კოსტავა შეიყვანა საბჭოთა პოლიტპატიმართა სიაში, რომელთა გათავისუფლებასაც ისინი მოითხოვდნენ კრემლისგან. მოგვიანებით მერაბ კოსტავას გვარი და სახელი ახსენა თვით პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა თავის მოხსენებაში, უწოდა რა მას Iron Man, ანუ „რკინის კაცი“.

ამ პერიოდიდან, 1980-იანი წლების დასაწყისიდან, საფუძველი ჩაეყარა როგორც 26 მაისის, ისე მერაბის დაბადების დღის აღნიშვნას მერაბისავე სახლში, ზანდუკელის (იმ დროს ჯავახიშვილის) ქუჩაზე. ამ დღეს იქ იკრიბებოდნენ ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის წარმომადგენლები ზვიადთან ერთად. რასაკვირველია, აქვე აღინიშნებოდა საქართველოს თეთრცხენოსანი მხედრის პირველი რესპუბლიკის დაბადების დღეც. არ ეგების იმის დავიწყებაც, რომ იმ წლებში ხალხის დიდმა უმრავლესობამ საერთოდ არ იცოდა, რომელ დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, არ იცნობდა სამფეროვან დროშას, გერბს, ვერ ცნობდა ანტისაოკუპაციო წინააღმდეგობის გმირის, ქაქუცა

ჩოლოყაშვილის პორტრეტს. კომუნისტურმა პროპაგანდამ იმთავითვე ისე წარმოაჩინა საქმე, თითქოს 1921 წლის 25 თებერვალს ერთი პარტია წავიდა და მის ადგილზე მოვიდა ახალი პარტია. საქართველოს ეროვნული მოძრაობის მესვეურებმა გადაწყვიტეს, დამოუკიდებლობისთვის და სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლაში ილია ჭავჭავაძის სახელი ყოფილიყო უმთავრესი შთამაგონებელი, გამაერთიანებელი და გზამკვლევი. ამიტომაც 1987 წლის შემოდგომაზე დაფუძნდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მასობრივი აქციები 1988 წლის ნოემბერში დაიწყო. ისინი მიმართული იყო საბჭოთა კონსტიტუციიდან რესპუბლიკების გამოყოფის უფლების მუხლის ამოღების წინააღმდეგ. ეს მუხლი კრემლმა მართლაც არ ამოიღო. ამავე დროს აფხაზეთში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, სეპარატისტული ძალები იქ უფრო მეტად გათავხედდნენ. 4 აპრილს, როდესაც მასობრივი აქციები განახლდა, ხალხის რეაქცია მიმართული იყო ლიხნის დეკლარაციაზე, სადაც იმპერიისგან წაქეზებულმა აფხაზურმა სეპარატიზმმა თამამად გამოაცხადა თავისი მიზნების შესახებ, რაც გულისხმობდა ავტონომიური რესპუბლიკის გამოყოფას საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკიდან.

პირველი, ანუ 1989 წლის 9 აპრილი იყო განსაცდელის წინაშე მამაცურად დადგომის და ეროვნული ერთიანობის დღე, თავისუფლების სახელით საფრთხისთვის თვალის გასწორება, სადაც მოწინააღმდეგე ძალა, გამომდინარე თავისი ბუნებიდან, მზად არ აღმოჩნდა, რათა მას სისხლის და მსხვერპლის გარეშე ჩაევლო იქ შეკრებილთათვის; ეს იყო ღამე, რომელმაც, გარდა იმისა, რომ შეცვალა საქართველოში კომუნისტურ-საბჭოურ-კოლონიალური მენტალობა, მძლავრი იმპულსი მისცა საქართველოს, საბჭოური სივრცის და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიული გეზის ცვლილებას. საბჭოთა კომუნისტურმა რეჟიმმა კუდი მოიქნია, თუმცა მისი მეცადინეობა ფუჭი აღმოჩნდა, ისტორიის წაღმა შეტრიალების მცდელობა ჩაიშალა. ამ დღის ტრაგედიას ქმნიდა დარბევისას ასფიქსიით გაგუდული მსხვერპლი, ხოლო იმედის საფუძველს ის ფაქტი, რომ აქამდე შედარებით მცირერიცხოვანი, უფრო სტუდენტების, დისიდენტების და ინტელეგენციის მოძრაობა მასობრივ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობად იქცა, რომელშიც მოსახლეობის პრაქტიკულად ყველა ფენა ჩაერთო. 1989 წლის 26 მაისს, როდესაც უნივერსიტეტის ბაღში მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა, რომელზეც ისტორიული სიტყვა წარმოთქვა ცოტა ხნით ადრე საპატიმროდან განთავისუფლებულმა ზვიად გამსახურდიამ, ცხადი გახადა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. რომ არა 9 აპრილი, საქართველოში კიდევ კარგა ხანს არ დასრულდებოდა კომუნისტური მმართველობა, არ დასრულდებოდა ცენზურა, ვერ ჩატარდებოდა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები, სადაც გამარჯვებული სწორედ ზვიად გამსახურდიას კოალიცია „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ გამოვიდოდა. სიახლე კიდევ ის იყო, რომ ამ არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რეგისტრაცია უნდა მოეხდინა არა კომპარტიის ორგანოს, არამედ ნეიტრალურ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. არჩევნებისკენ ნაბიჯის გადადგმით ზვიადის

ფრთამ 1990 წლის აპრილში უარყო არაფორმალურად არჩეული კონგრესის იდეა, რაც მუდმივად ქუჩაში დარჩენას გულისხმობდა.

მეორე 9 აპრილი, 1991 წელს - ისტორიული სამართლიანობის აღსრულების დღეა, როდესაც ქართველი ერის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში გამოხატული ნება ოფიციალურად, დამოუკიდებლობის აქტის სახით გაცხადდა მთელი მსოფლიოს წინაშე. ეს დღე 9 აპრილს მოწამეობრივად აღსრულებულებს მიეძღვნა.

პოლიტიკოსები, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურების რანგში ადიან, შესაძლოა რამოდენიმე ტიპის იყვნენ: ერთნი გეოპოლიტიკური ძვრებისთვის ბიძგის მიმცემნი, მეორენი სხვების მიერ დაწერილი პროექტების მუშა შემსრულებლები, მესამენი დახავსებული რეალობების დამკონსერვებლები, მეოთხენი - ჩვეულებრივი ავანტიურისტები, რომელთა მარტივი პრაგმატიზმიც ადამიანური ბუნების ბანალურობებზეა ძირითადად ფოკუსირებული; მათ, შესაძლოა, ჰქონდეთ ძალაუფლების სისავსე და პრაქტიკული შედეგებიც, მაგრამ არ ჰქონდეთ არც ავტორიტეტი, არც სიყვარული ხალხის მხრიდან - ისეთი, რომელიც პარტიულობაზე მაღლა იდგება. ასეთი სახელმწიფო კაცი ტექნიკოსია, მასზე იტყვიან, საქმე და ხელობა იცისო.

არსებობს კიდევ ერთი სახეობაც - ესაა ამა თუ იმ თანამედროვე „ერი-სახელმწიფოს“ დამფუძნებელი მამა, ვინც პოლიტიკოსის გარდა შემოქმედი და ხელოვანიც შესაძლოა იყოს, რომელსაც სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც არ აკლია არც ავტორიტეტი, არც სიყვარული მისი თანამემამულეების მხრიდან. ასეთი ლიდერი მაღალი თანამდებობის დაკავებამდე ჩანს ბარიკადებზე, ვინც იმარჯვებს სიტყვით, კალმით და გაბედული ნაბიჯებით, აქცევს რა რისკის ქვეშ, აზიანებს მის კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და სიცოცხლეს და არამარტო მისას - მისი ოჯახისას და მისი ახლომყოფი ადამიანებისას. ზვიად გამსახურდია სწორედ ამ კატეგორიას ეკუთვნის. ნიშანდობლივია, რასაც იგი ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში:

“პატიოსნება და ზნეობა ერთობ ძნელად უთავსდება თანამედროვე პოლიტიკას, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ მათი შეთავსება შეუძლებელია. ყველაფერი პიროვნებაზეა დამოკიდებული. სწორედ რონალდ რეიგანმა დაამტკიცა, რომ პოლიტიკოსს ძალუძს შეათავსოს ზნეობა და ღირსება თავის საქმიანობასთან. მოხარული ვარ, რომ პირადად შევხვედრივარ რეიგანს მოსკოვში 1988 წელს.”

ზვიად გამსახურდიას მიერ გადადგმული არც ერთი ნაბიჯი დაწყებული 1956 წლის ცნობილი პროკლამაციიდან, დასრულებული ჯიხაშკარ-ხიბულას ტრაგედიით არ არის ამოვარდნილი მისი მოღვაწეობის ერთიანი კონტექსტიდან, რისი მიზანიც ყოველ ეტაპზე იყო ბრძოლა ეროვნული ინტერესების გამომხატველ, იმავდროულად ადამიანურობის სახის მქონე პოლიტიკისთვის, რათა ის არ გახდეს წილნაყარი ერისა და კაცობრიობის ქაოტიზირების, დაცემის, დემორალიზაციის გამომწვევ ძალებთან.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პირველივე მასობრივი აქციებიდან ზვიად გამსახურდია ცალსახად კარნახობს და ადგენს საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგს. იგივე ითქმის მის გროზნოულ პერიოდზე, ძალადობრივი დამხობიდან მკვლელობამდე. თვით გარდაცვალებიდან ოცდამეცამეტე წელიწადსაც კი მისი ფაქტორი ბევრი თვალსაზრისით უჩვეულოდ ქმედითია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თუ საზოგადოებრივ დისკუსიაში.

მერაბ კოსტავამ ერთხელ მისდამი მიძღვნილ ლექსში ასეთნაირად დაახასიათა ზვიადის მოღვაწეობა, ახალ ხარისხზე ასწიეო ერი. აქ დამფუძნებლური ქმედება იგულისხმება, რაც, გარდა პოლიტიკური აქტისა, შინაარსობრივად იყო ერი-სახელმწიფოს შექმნის ყოვლისმომცველი ხელშეკრულება - რომელიც ერთი კონკრეტული დღით ვერ შემოიზღუდება. ნოემბრები და აპრილები, მრავალათასიანი მიტინგები და მანიფესტაციები იყო ამ ხელშეკრულების დადების პირველი მოქმედება, მათში ჩართულ ინდივიდებს, მოქალაქეებს შორის; „მრგვალი მაგიდის" 63-ვე სხდომა პროგრამატული განხილვებით, შემდეგ თავისუფალი არჩევნები, უზენაესი საბჭოს სესიები, რეფერენდუმი და დამოუკიდებლობის გამოცხადება პირველ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად იყო მეორე მოქმედება - როდესაც ეს დიდი ხელშეკრულება უკვე ხალხსა და სახელმწიფოს შორის დაიდო. როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და ქვეყნის პირველი არჩეული პრეზიდენტი იგი დამაარსებელია პოლიტიკური კოალიციისა, რომელმაც ბალტიელებთან ერთად პირველმა დააყენა საქართველოს გასვლის საკითხი საბჭოთა იმპერიიდან; ვინც პირველმა საბჭოთა სივრცეში ჩაატარა ოფიციალური არჩევნები არასაბჭოური, მრავალპარტიული კანონმდებლობით. მის დროს გარდა 31 მარტის რეფერენდუმისა ხუთი არჩევნები ჩატარდა – საპარლამენტო, საპრეზიდენტო, ადგილობრივი თვითმმართველობის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ჩვენს თაობას არასოდეს დაავიწყდება 1991 -1992 წლების მიჯნაზე უცხო ქვეყნის პოლიტიკური, სამხედრო, სპეცსამსახურული და ეკონომიკური რესურსების ჩართულობით ორგანიზებული პუტჩი და გადატრიალება, პატივაყრის უმძიმესი დღეები და იმავდროულად, ბრძოლა, სადაც უმთავრესი საკუთარი არჩევანისადმი ბოლომდე ერთგულების დემონსტრაცია იყო. ამ პუტჩის, უცხო ქვეყნის, ანუ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალის ჩართულობით სამოქალაქო ომში საწყის ეტაპზე შესაძლოა ჩაგვითრიეს, მაგრამ ჩვენ მაინც არ ჩავყევით. შეიძლებოდა იმის თქმაც, რომ საბედისწეროდ გაყოფილ ქართველობაში გარკვეულ დროს თვითგადარჩენის ინსტინქტიც ამუშავდა. ჩვენ, კანონიერების მომხრეები, ბოლომდე არ დავფიქსირდით მხარედ, რის გამოც კანონიერი ხელისუფლება და მისი მრავალი ასეულობით ათასი მომხრე გაიწირა - ისინი საბოლოოდ პოლიტიკური პროცესიდან გვერდზე გაწიეს, თუმცა ქვეყანა ნამდვილ "სირიიზაციას" ასე თუ ისე გადაურჩა, ე.წ სამოქალაქო ომიც საწყის ფაზაში ჩაიგუდა და საბედნიეროდ აღარ გაგრძელდა. საქართველოს პარლამენტმა ზურაბ ჟვანიას თავმჯდომარეობისას 2000 წელს 1991-1992 წლების მიჯნაზე დატრიალებული მოვლენები ცნო სახელმწიფო გადატრიალებად. (ჩვენთვის და საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის ეს ცხადია, იმთავითვე ასე იყო) აქედან

ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ არის მხარე, რომელმაც დაამხო სახელმწიფო და მომხდარზე პასუხისმგებელი პირველ რიგში ოფიციალურადაც ის მხარე არის. ეს მოკლე ტექსტი-შეფასება, მიღებული პარლამენტის მიერ, ყოველგვარი ნორმატიული აქტის გარეშე, შესაძლოა ბევრს არ ნიშნავდეს, მაგრამ არაფერზე უკეთესია.

ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების ერთადერთი შესაძლებლობა სამეგრელოში იყო, რომლის მოსახლეობამაც უმძიმესი დარტყმა მიიღო 1992 -1993 წლებში, ხუნტის შეიარაღებული ფორმირებებისგან. საქართველოს და სამეგრელოს უმამაცესმა, უკეთილშობილესმა შვილებმა საქართველოს და მსოფლიოს უთხრეს, ვიდრე ქვეყანას ჩალით დახურავდე, ხოლო კანონს ფეხქვეშ გათელავდე, უნდა იცოდე: ეროვნული ღირსების მქონე მოქალაქეები პასუხს აუცილებლად გაგცემენ. ზვიად გამსახურდიას დაბრუნებას ჰქონდა ერთადერთი მიზანი - საფრთხეში მყოფი აფხაზეთის ერთობლივად დაცვა, ამავე დროს შიდაქართული დაპირისპირების საბოლოოდ დასრულება. მან ამაზე პირდაპირ გააკეთა განცხადება ზუგდიდში 1993 წლის 24 სექტემბერს გამართულ მრავალათასიან მიტინგზე და შემდეგ ასევე ოჩამჩირის ფრონტის საბრძოლო შეხების ხაზიდან. მანამდე, 1993 წლის სექტემბერში მისი თანხმობით შედგა დამხობილი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოლაპარაკებები შევარდნაძის ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციაში, სადაც მოდერაციას ახორციელებდა აჭარის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე. ეს მიზნად ისახავდა ერთობლივი არჩევნების ჩატარების გზით მშვიდობისკენ სვლას. შეთანხმება თითქმის მიღწეულ იქნა, მაგრამ ოფიციალურმა თბილისმა საბოლოოდ ჩაშალა მისი ხელმოწერა. ედუარდ შევარდნაძეს არ ეყო გამბედაობა, თავის თავზე აეღო შერიგების პროცესის ბოლომდე მიყვანა და მან არჩია ისევ ძველი, ქვეყნისთვის მავნე მოდელი “ყველა მინუს ერთი”, რაც ნიშნავდა ზვიად გამსახურდიას და მისი მომხრეების გამორიცხვას საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან. ეს კი გულისხმობდა სულ ცოტა ამომრჩევლის 60-65 პროცენტს.

რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს, მას მავანნი “დიდ ქართველ პოლიტიკოსად” მოიხსენიებენ. ასე არ ვიტყოდი. მე ვიტყოდი “ვირტუოზი ტაქტიკოსი ედ. შევარდნაძე.” ისევე, როგორც არ ვუწოდებდი “დიდ ფინანსისტს” ისეთ ბანკირს, ვისაც უზარმაზარი კრედიტი მიეცა და იმის მეათედი შედეგი დადო, რაც აქედან შეეძლო დაედო, და ბოლოს როგორც გაირკვა, ამ (პირობითმა) ბანკირმა, ყველაზე დიდი შედეგი ისევ თავისთვის დადო - არც (პირობითად) კომისიამ, არც ზედა ინსტანციებმა, არც მეანაბრეებმა არ მოიკითხეს, რეალურად რა მოხდა. ბოლოს ეს დავალიანებებით გაძეძგილი ინსტიტუცია თავის მიერვე წამოწეულ ახალგაზრდა ფინანსისტებს გადააბარა, აწი ესენი მიხედავენო, ენერგიულები ჩანანო. უახლესი ისტორიის ამ თავს იგავურად ასე გადმოვცემდი.

ზვიად გამსახურდიას რომ დღევანდელი საქართველოსთვის შემოეხედა, იგი არ შეკრთებოდა, იგი ბევრ პოზიტიურ ამბავსაც დაინახავდა, თუმცა ბედნიერადაც არ იგრძნობდა თავს. იგი უთუოდ მიესალმებოდა ტენდენციას, რომ საქართველოს

ბედი უნდა წყდებოდეს საქართველოშივე და არა სხვაგან. ამასთანავე არ მიესალმებოდა ქართველობის დაყოფას პოლიტიკურ სექტებად, სადაც ოპოზიციონერობა უსაზმნო, დაუსრულებელ კინკლაობას, ლანძღვას და პოლარიზაციას ნიშნავს, იქ, სადაც მხოლოდ პერსონებზეა სწორება, სადაც არ არსებობს გამაერთიანებელი სერიოზული პოლიტიკური პლატფორმა ან პლატფორმები; იქ სადაც ხშირად არ ფიქრობენ და პრაქტიკულადაც ცოტაოდენს მუშაობენ სამოქალაქო პატრიოტიზმზე, სადაც ელიტების გარკვეული ნაწილი შესაძლოა საბედისწერო ინერციით თუ შეგნებულად მეზობელი დამპყრობელი სახელმწიფოს ინტერესებს ატარებდეს ან რაღაც ისეთი ქვეყნების ჯგუფისას, რომელთაც ოსტატურად შენიღბული კოლექტიური ეგოიზმები ამოძრავებთ. სადაც აგენტურული საქმიანობა ვიღაცის ინტერესებიდან გამომდინარე კარგ ტონად ითვლება. მან თავის თეორიულ ნაწერებში და ლექციებში საქართველოს სულიერ, ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ მისიაზე ისაუბრა. ჩვენი თანამედროვეობა კი რა სურათს გვთავაზობს? ხელში შეგვრჩება ძალიან ბანალური და შაბლონურ-ტრივიალური აღწერები ქვეყნისა და ჩვენი ხალხის მისწრაფებებისთვის. ასე მაგალითად, ძალიან ბევრისმთქმელი არ არის ის, რომ ცეკვავ, მღერი, ძალოვანი სპორტის სახეობებში დიდი მიღწევები გაქვს, ასხამ და ყიდი ღვინოს, ტურიზმს აღორძინებ, ნატოსა და ევროკავშირთან მეგობრობა გსურს, შენს ტერიტორიაზე გადის ტრანსპორტის და ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვანი არტერიები და ამ ყოველივეს მაკონტროლებელის ფუნქცია გაკისრია. ეს ყოველივე შესაძლოა მნიშვნელოვანია, თუმცა სასურველ მიზანთან მხოლოდ ამით ვერ მივალთ. ზვიად გამსახურდია არც უტოპისტი ყოფილა რომ გონებოდა, თითქოს თავისუფლებისა და ღირსების საუფლო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის და მანამდე ცარისტული გუბერნიის ადგილას თუნდაც ხუთ ან ათ წელიწადშია დამკვიდრებადი. პრეზიდენტის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში პროფესორი გიორგი გაჩეჩილაძე გაზეთ ასავალ-დასავალის 2007 წლის 19-25 თებერვლის ნომერში წერს - "ამბობენ ზვიად გამსახურდია პოლიტიკოსი არ იყო". ეს არის დიასახლისის დონეზე მოაზროვნე "პოლიტიკოსების" აზრი. ზვიადი ბუნებით სიმართლის მატარებელი, სიმართლის მაძიებელი, გულწრფელად მორწმუნე კაცი იყო. ზვიადი იყო დღევანდელი დღის პოლიტიკოსი, უფრო ადრე დაბადებული, რომელმაც წინ გაუსწრო თავის ეპოქას და მისი უკლებლივ ყველა პოლიტიკური პროგნოზი სიტყვა-სიტყვით აუხდა, როგორც საქართველოს, ისე დანარჩენ მსოფლიოს. მეწვრილმანე, დღევანდელი კვერცხის მაძებარ საზოგადოებას აღიზიანებდა ზეგინდელი დღის პრობლემატიკაზე მოლაპარაკე ზვიადი."

როგორც სახელმწიფო კაცმა, მან ისიც უწყოდა, რომ დასავლურობის და თავისუფლების გაგებას აქვს როგორც ნამდვილი, ისე ყალბი და სუროგატული გაგებები. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი დასავლურობა უპირველეს ყოვლისა კულტურაა, ცივილიზაციაა, პოლიტიკური ნააზრევია, იმ სოციალური და სამართლებრივი სისტემების შესწავლა და დამკვიდრებაა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ჩამოიქნა ევროპაში, ამოუწურავი შესაძლებლობების კონტინენტზე. ის არ არის, მისსავე გამონათქვამს თუ დავესესხებით, "პორნოგრაფია, სადისტური ფილმების კულტი, მოდების წამხედურობა, ხელგაწვდილი დგომა კრედიტების

მოლოდინში, საეჭვო გარიგებები პოლიტიკურ ავანტიურისტებთან საკუთარი ერის საზიანოდ".

მისივე გაგებიდან გამომდინარე აქ დავამატებდი: თავისუფლება ზნეობრივი და პასუხისმგებლიანი ინდივიდუალიზმია, ამავე დროს ასეთივე ინდივიდუალიზმების სიმრავლეა, რომლებიც ცდილობენ და ახერხებენ კიდეც ერთმანეთთან ხმაშეწყობილად თანაარსებობას, რაც საზოგადოებრივ პოლიფონიურობას წარმოქმნის. ეს პრინციპში იგივეა, რაც ანტიკური ეპოქის რომაელი ფილოსოფოსის და სახელმწიფო მოღვაწის მარკუს ტულიუს ციცერონის თვალსაზრისი, რომ "ხალხი" მხოლოდ მათემატიკური სიდიდე არ არის, ყოველგვარი ინდივიდუალური თვისობრიობის გარეშე: "სახელმწიფო ხალხის საკუთრებაა და ხალხი კი არ არის რაიმე სახით ერთად შეკრებილი ადამიანების გაერთიანება. არამედ, კანონისა და საერთო ინტერესების საკითხებში შეთანხმებით დაკავშირებული კრებულია."

ზვიად გამსახურდია როგორც ქრისტიანულ ჭეშმარიტებებში საკმაოდ გარკვეული ერისკაცი და მორწმუნე ადამიანი, ჯოხარ დუდაევის თქმისა არ იყოს, "პრეზიდენტი ბიბლიით ხელში" ხელს უწყობდა ეკლესიურობის აღორძინებას, ამავდროულად მხარს უჭერდა ეკლესიის განწმენდას, იცავდა პატიოსან სამღვდელოებას, მოითხოვდა ქვაბავაზაკთა და საბჭოური მენტალობის განდევნას. იგი თვლიდა, რომ გარდა ეკლესიის მოწოდებისა ადამიანებს ასწავლოს ჭეშმარიტი გზა სულის ცხონებისკენ და სასუფევლისკენ, იგი ქართულ სახელმწიფოსთან ერთად მხარდამხარ უნდა იბრძოდეს ნამდვილი ეროვნული და პატრიოტული ღირებულებებისთვის. როგორც ეკლესიის, ისე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ამოცანად მას ესახებოდა არამარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევა, არამედ ეროვნული სულის, ისტორიულად ფორმირებული ეროვნული ხასიათის და ზნეობრივი კოდექსის რესტავრაცია. მართლმადიდებლური ეკლესიის დოქტრინის და კულტის "სახელმწიფო რელიგიად" გამოცხადების თეზისიც, მის მიერ გახმოვანებული საპრეზიდენტო პროგრამაშიც და ცალკეულ ინტერვიუებშიც, ამაზე მიანიშნებს.

ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში სულ 14 თვე იყო, ეს მეტად ხანმოკლე პერიოდია პოლიტიკისთვის და მიუხედავად ამისა, რამდენი ბედის განმსაზღვრელი ამბის, გადაწყვეტილების, გადადგმული ნაბიჯის და ხდომილების დამტევია. მისი მოღვაწეობის ძირითადი და საკვანძო ამბავია დიდი ხელშეკრულების დადება ხალხსა და სახელმწიფოს შორის. ეს ხელშეკრულება, ცხადია, მატერიალური სახით, იურიდიულ ფორმულირებებად ჩამოყალიბებული არ არსებობს, თუმცა პირობით დათქმასავით ჩადებულია სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის შემდეგ ხელისუფლებები და ხალხი გამოიცდებიან იმის შესაბამისად, თუ რამდენადად ერთგულნი არიან ამ პირობითი ხელშეკრულებისა. ამ მხრივ გაფრთხილებად და იმავდროულად, ერთგვარ ანდერძად ჟღერს ზვიად გამსახურდიას სიტყვები: „არ შეიძლება საკუთარი თავისა და საკუთარი ხალხის მოტყუება - ამაზე მწარე ხვედრი, ამაზე შემზარავი დანაშაული არ არსებობს".

ასეთია მისი პოლიტიკური ანდერძის არასრული წართქმითი და უკუთქმითი ინტერპრეტაცია, ანუ როგორი უნდა იყოს და როგორი არ უნდა იყოს. მისი სახელი და ბიოგრაფია კი ამიერიდან საზომია, მეტრია, რითიც ყველა გაიზომება”.